ხელშეკრულება
პოლიგრაფიული მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი

22 თებერვალი 2013 წ.

1. ხელშეკრულების საერთო პირობები

1 .1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.

1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.

1.2.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.

1.2.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში – „შემსყიდველი") – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.2.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.2.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების მხარეები

2.1 ერთი მხრივ, შპს "ქ. თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო" წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნ ივერი მაისურაძის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორე მხრივ, შპს "სტამბა", წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი მაჩაიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს "ქ. თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო" –ს საჭიროებისათვის შემდეგი პროდუქციის პოლიგრაფიული ბეჭდვა:

- სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაცია (14 ფურც. A4 ზომა) – 2050ცალი X 1,00– 2050,00 ლარი;

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2050,00 (ორიათას ორმოცდაათი ლარი) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო, ან ნაღდი ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება 7.2. პუნქტში განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

7. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

7.1. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. განსაკუთრებული პირობები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 გვერდზე, 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

8.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ერთი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს "ქ. თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო"	შპს „სტამბა"
ს.კ№ 204 871 594	ს.კ№404429766
მის: ქ. თბილისი, ს. ჩიქოვანის № 14	მის: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გაშზ. № 23
ტელ: 577 570 459	ტელ: 577 506 002
სს "პროკრედიტ ბანკი"	სს „საქართველოს ბანკი"
ანგ. № 3608 0101 2400 027	ანგ. № GE69BG0000000722480400GEL
დირექტორი ი. მაისურაძე	დირექტორი: გ. მაჩაიძე

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional